

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
აღმოსავლეთ აზია ისტორიულ და თანამედროვე კონტექსტში

ედგენება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „შორეული
აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის“ მიმართულების დაარსების 15 წლისთავს,
საქართველოს იაპონიასთან და ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30
წლის იუბილეს

პ რ ო გ რ ა მ ა დ ა თ ე ზ ი ს ე ბ ი



28-29 ოქტომბერი

თბილისი 2022

კონფერენციის პროგრამა

პარასკევი, 28 ოქტომბერი

კონფერენციის გახსნა

თსუ I კორპუსი, აუდიტორია #202

10:30 კონფერენციის გახსნა

ნანა გაფრინდაშვილი - თსუ პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

ნანა გელაშვილი - თსუ პროფესორი, „მორეული აღმოსვლეთის რეგიონმცოდნეობის“ მიმართულების ხელმძღვანელი

მისაღმებები

რეგლამენტი

მობსენება - 15 წუთი

დისკუსია - 5 წუთი

პარასკევი, 28 ოქტომბერი

11:00-14:00

პლენარული სხდომა

თსუ I კორპუსი, აუდიტორია #202

სხდომის თავმჯდომარე - ნანა გელაშვილი

სოფიო გუგუნავა

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, თსუ მონვეული ლექტორი

ქრისტიანობის გზა კორეის ნახევარკუნძულზე

ნანა გელაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

ინოვაციები იაპონიის პოლიტიკურ ცხოვრებაში და კულტურაში - კამაკურას ეპოქა

მარინე ჯიბლაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი

ჩინური ენის ფონეტიკის საკვანძო საკითხები

მარიკა მშვილდაძე

თსუ ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

იუდეველთა თემების ინდოსტანის ნახევარკუნძულზე შესწავლის საკითხისათვის

ლელია ხუბაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

ალექსანდრე უბირია

თსუ დოქტორანტი

დემოგრაფიული აფეთქების პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზები შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითზე

ანა გოგუაძე

თსუ დოქტორანტი, ჩინური ენის მონვეული ლექტორი

ტრავმის რეპრეზენტაცია იუ ხუას რომანში *ცხოვრება*.

შესვენება - 14:00- 14:30

თსუ I კორპუსი, აუდიტორია #202

სხდომის თავმჯდომარე - ანა გოგუაძე

Zoom ID: 280 517 9446

მაი აშური (ეგვიპტე, ქაირო)

სინოლოგი, დამოუკიდებელი მკვლევარი

გამონვევები და მათი გადაჭრის გზები ჩინურ ლიტერატურულ თარგმანში

ჰიროტაკე მადეა (იაპონია, ტოკიო)

ისტორიის დოქტორი, ტოკიოს მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის პროფესორი

მიშიმა, ჰაიაში და გალაკტიონი -- იაპონურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ერთი

ეპიზოდი მეოცე საუკუნეში

ლიუ ჩაო (ჩინეთი, პეკინი)

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუციის ინსტიტუტის ჩინური ენის ლექტორი

ჩინური ძირითადი ფერების აღმნიშვნელი სიტყვების კულტურული მნიშვნელობის ანალიზი

იზოლდა ბელთაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანია

ნოდარ ბელქანია

ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი

მოდველებულია თუ არა დღეისთვის განათლების ჰუმბოლდტისეული იდეალი?

ოთარ ჭილაძე

სინოლოგი, დამოუკიდებელი მკვლევარი

ჩახრუხადის მოგზაურობა ჩინეთში - მითი თუ რეალობა?

შაბათი, 29 ოქტომბერი

11:00-14:00

პლენარული სხდომა

თსუ V კორპუსი, აუდიტორია 306

სხდომის თავმჯდომარე - თათია მემარნიშვილი

თათია მემარნიშვილი

ენების ცენტრის მონვეული ლექტორი, თსუ იაპონური ენისა და კულტურის ცენტრის კოორდინატორი

იაპონური ენიდან ქართულად თარგმანის გამოწვევები

შალვა ჩიხლაძე

სინოლოგი, თსუ მონვეული ლექტორი

ჩინური პოლიტიკური და ინტელექტუალური ჯგუფები გვიანდელ ცინგის დინასტიასა და რესპუბლიკურ ჩინეთში

დავით ანდლულაძე

თსუ დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩინური ენის ლექტორი

ჩინური განათლების სისტემის თავისებურებები

ნანა გულიაშვილი

თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი

მშენიერება და ხელოვნება იაპონურ ესთეტიკაში

ნელი ახოზაძე

სინოლოგი, დამოუკიდებელი მკვლევარი

სუნ იატსენი და მისი როლი ჩინეთის უკანასკნელი დინასტიის დამხობაში

შესვენება - 14:00-14:30

თსუ V კორპუსი, აუდიტორია 306

სხდომის თავმჯდომარე - სოფიო გუგუნავა

მარინე ლულუაური

ეკონომიკის დოქტორი, თსუ მონვეული ლექტორი

სამხრეთ კორეის სოციალურ - ეკონომიკური ტრანსფორმაცია.

თეონა გელაშვილი

თსუ ჩინური ენის მონვეული ლექტორი

ჩინეთის საპარლამენტო სისტემის თავისებურებები

სალომე ბელქანია

თსუ დოქტორანტი

პრესის თავისუფლება ჩინეთში და მისი გავლენა საზოგადოებაზე

ძინფენგ ლი (ჩინეთი, კუანგტუნგი)

ჩინური ენის პედაგოგი, დამოუკიდებელი მკვლევარი

ქართულ ლიტერატურაში ჩინეთის იმიჯის კორპუსის ანალიზი

სალომე სუხიაშვილი

თსუ დოქტორანტი

ძველი ბერძნული მითი ოსამუ დაძანის მოთხრობაში „გაიქეცი, მელოს!“

კონფერენციის დახურვა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

International Scientific Conference

East Asia in Historical and Contemporary Context

Dedicated to the 15th anniversary of the establishment of department of Far East regional studies and to the 30th anniversary of diplomatic relations of Georgia with Japan and China

PROGRAM AND ABSTRACTS

October 28-29

Tbilisi 2022

Conference Program

Friday, October 28

Opening of the Conference

TSU building I, room № 202

10:30 Opening of the Conference

Nana Gaprindashvili – TSU Professor, Dean of faculty of Humanities

Nana Gelashvili – TSU Professor, Head of Direction of the “Far East Regional Studies”

Greetings

Time Limit For:

Presentation - 15 minutes

Discussion – 5 minutes

Friday, October 28

11:00-14:00

Plenary Meeting

TSU building I, room №202

Chair – Nana Gelashvili

Sopio Gugunava

SEU Assistant Professor

The Road of Christianity on the Korean Peninsula

Nana Gelashvili

TSU Professor, Doctor of historical sciences

Innovations in the Political Life and Culture of Japan – Kamakura Era

Marine Jibladze

Professor of Free University of Tbilisi, Doctor of Philological Sciences

Key Issues in Chinese Language Phonetics

Leila Khubasvili

TSU Associate Professor, Doctor of Historical Sciences

Aleksandre Ubiria

TSU PhD student

Demographic Explosion and the Solution of the Problem According to the Pattern of Far Eastern Countries

Marika Mshvildadze

TSU Associate Professor

On the Study of the Settlement of Jewish Community on the Hindustan Peninsula

Ana Gogvadze

Invited Lecturer, TSU PhD Student

Representation of Trauma in Yu Hua's novel *To Live*

Break 14:30 – 14:30

Plenary Meeting

Chair – Ana Gogvadze

Zoom ID: **280 517 9446**

Mai Ashour (Egypt, Cairo)

Sinologist, Independent Researcher

Challenges and Solutions in Chinese Literary Translation

Hirotake Maeda (Japan, Tokyo)

Professor, Tokyo Metropolitan University

Mishima, Hayashi, and Galaktion - An Episode on the Japanese-Georgian Literary Relations in the 20th Century

Liu Chao (China)

Chinese Lecturer, Confucius Institute at Free University of Tbilisi

The Analysis of the Cultural Meaning of Basic Chinese Color Words

Izolda Beltadze

Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University

Dutch East India Company

Nodar Belkania

Doctor of Psychology, Professor

Is Humboldt's Educational Ideal Obsolete Today?

Otari Tchigladze

Sinologist, Independent Researcher

Travels of Chakhrukhadze in China: Myth or Reality?

Saturday, October 29

11:00 – 14:00

Plenary Meeting

TSU building V, room № 306

Chair – Tatia Memarnishvili

Tatia Memarnishvili

Invited Lecturer, Coordinator at TSU Japanese Language and Culture Center

Challenges in Translation from Japanese to Georgian

Shalva Chikhladze

Sinologist, TSU Invited Lecturer

Chinese Political and Intellectual Elites in the Late Qing Dynasty and the Beginning of Republican Era

Davit Andghuladze

TSU PhD Student, Lecturer at Batumi Shota Rustaveli State University

Peculiarities of the Chinese Education System

Nana Guliashvili

TSU Assistant Professor of the Institute of Philosophy

Beauty and Art in Japanese Aesthetics

Neli Akhobadze

Sinologist, Independent Researcher

Sun Yat-Sen and His Role in the Overthrow of China's last Dynasty

Break 14:00-14:30

TSU building V, room № 127

Chair – Sopio Gugunava

Marine Gudushauri

TSU PhD in Economics

The Social-Economic Transformation of South Korea

Teona Gelashvili

TSU Chinese Lecturer

Peculiarities of the Chinese Parliamentary System

Salome Belkania

TSU PhD Student

Freedom of the Press in China and Its Impact on the Society

Li Jianfeng (China)

TSU Chinese Lecturer

Corpus Analysis of Image of China in Georgian Literature

Salome Sukhiashvili

TSU PhD Student

Greek Myth in the Novella “Run, Melos!” by Osamu Dazai

Closing of the Conference

თ ე ზ ი ს ე ბ ი

დავით ანდლულაძე

ჩინური განათლების სისტემის თავისებურებები

განათლებას ყველა კულტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და ამ მხრივ არც ჩინეთია გამონაკლისი. ჩინურ კულტურას დიდი კვალი დააჩნია და, შიძლიერება ითქვას, დიდწილად გასაზღვრა კიდევ კონფუციმ და მისმა მოძღვრებამ. კონფუცი იყო სწავლული სახელმწიფო მოხელე, სწორედ მან განაპირობა ამ ტიპის ადამიანების პრივილეგიერებულობა ჩინეთის მთელი ისტორიის მანძილზე.

განათლება ჩინურ ცივილიზაციაში ერთ-ერთი უმთავრესი სათნოებაა. სწავლული სახელმწიფო მოხელეების ფენა თითქმის ყოველთვის უფრო მაღლა იდგა ვიდრე სამხედრო ელიტა. უძველესი დროიდან არსებული საგამოცდო სისტემა, მართალია, საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა, მაგრამ გარკვეული სახით თანამედროვე ჩინეთშიც ფუნქციონირებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაშიც, ისევე როგორც ადრე, განათლება საკვანძო როლს ასრულებს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღები გამოცდები მნიშვნელოვანი მოვლენაა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რასაც წარმატებებთან და სიხარულთან ერთად სტრესი და სუიციდის შემთხვევების მატება ახლავს. ჩემი მოხსენების მიზანია წარმოვაჩინო თანამედროვე ჩინეთის საგანმანათლებლო სისტემის თავისებურებები ტრადიციული და თანამედროვე მიდგომების ფონზე.

მაი აშური

გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები ჩინურ ლიტერატურულ თარგმანში

თარგმნა სოციალური პროცესია, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს მინიმუმ ორ განსხვავებულ ენასა და კულტურულ იდენტობას. არსებობს გარკვეული კულტურული მოვლენები, რომლებიც ერთ ენაში წარმოდგენილია, ხოლო სხვა ენაში (იმავე გზით) - არა.

თარგმნის პროცესი შედარებულია სრულიად ახალ სამყაროში შებიჯებასთან, რომელიც ახალი ინფორმაციით, კულტურით, გამოცდილებითა და დაბრკოლებებით არის სავსე,

მთარგმნელის ვალი კი ამ ყველაფრის დაძლევაა. ჩინური ლიტერატურის თარგმნის უნარი, ნოველებისა თუ მოთხრობების, მოითხოვს ინდივიდების ყოველდღიური ცხოვრებისა და კოგნიტური პროცესების სიღრმისეულ გაგებას. თარგმანი არ არის მხოლოდ ხიდი ორი სხვადასხვა ერის ენებსა და კულტურებს შორის; უფრო მეტიც, ეს არის ის, რაც ერთმნიშვნელოვნად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხიდი. ანალოგიურია იმ სინათლისა, რომელიც ანათებს გონებასა და სულს, გაიძულებთ იფიქროთ სხვა ადამიანებზე და სამყაროზე, რომელშიც ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ. ამ მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ კულტურულ და ენობრივ დაბრკოლებებს, რომლებიც ლიტერატურის მთარგმნელებმა უნდა გადალახონ, რათა წარმატებით შეასრულონ მთარგმნელობითი პროექტები. თარგმნის პროცესში და ტექსტის რეკონსტრუქციისას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზოგიერთ ენობრივ და კულტურულ გამოწვევებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო თავდაპირველ ტექსტში და ამ გამოწვევების დაძლევის გზების შესწავლას თარგმანში. ეს მოხსენება შეისწავლის მიგნებებს და მიდგომებს ლიტერატურული თარგმნის უნარების გასაუმჯობესებლად.

წელი ახობაძე

სუნ იატსენი და მისი როლი ჩინეთის უკანასკნელი დინასტიის დამხობაში

სუნ იატსენი ჩინეთის ისტორიასა და პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი პიროვნებაა. მისი თაოსნობით ჩინეთში 1911 წელს მოხდა სინხაის რევოლუცია. სწორედ ამ რევოლუციამ დაასრულა ათასწლოვანი მონარქიული მმართველობის სისტემა ჩინეთში და საფუძელი ჩაუყარა ჩინეთის რესპუბლიკის დაარსებას.

ნაშრომში განხილულია სუნ იატსენის იგივე სუნ ჭუნგმანის პიროვნება, რომელსაც დღეს ჩინეთის ერის მამას ეძახიან, მისი როლი და მნიშვნელობა ჩინეთის უკანასკნელი, ცინგის დინასტიის, დამხობასა და ჩინეთის რესპუბლიკის დაარსებაში. ძირითდად ჩინურ, დამატებით კი დასავლურ წყაროებზე დაყრდნობით, ავტორი მსჯელობს, თუ რატომ გაუჩნდა ანტი-ცინგის მოძრაობის წამოწყების იდეა, როგორ მოახერხა საუკუნოვანი ისტორიის მქონე მონარქიული წყობის დაშლა; ვინ და როგორ თანამშრომლობდა მასთან და რა ფაქტორებმა იქონია გავლენა მის მიერ წამოწყებული რევოლუციის წარმატებით დასრულებაში.

ნოდარ ბელქანია

მოძველებულია თუ არა დღეისთვის განათლების ჰუმბოლდტისეული იდეალი?

1806 წელს ნაპოლეონთან ომში დამარცხების შემდეგ პრუსიის მთავრობამ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტს სთხოვა, სათავეში ჩადგომოდა ქვეყანაში განათლების რეფორმას. ჰუმბოლდტმა თანამოაზრეებთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ გოეთე, შილერი, ფიხტე, შელინგი, შლაიერმახერი და სხვ., შეიმუშავა განათლების იდეალი, რომელიც ორ სვეტს ემყარებოდა: ავტონომიური ინდივიდუუმის და მსოფლიო მოქალაქის ჩამოყალიბებას და რომლის მიხედვითაც ახალგაზრდამ მხოლოდ პროფესიული და პრაქტიკული განათლება კი არ უნდა მიიღოს, არამედ პროფესიულ განათლებას ფართო საფუძველი უნდა შეუქმნას ზოგადი განათლებით. მისი აზრით, მხოლოდ ასეთი განათლება ხდის ადამიანს თავისი სახელმწიფოს მომწიფებულ მოქალაქედ და, შესაბამისად, საზოგადოების სრულყოფილ წევრად. ჰუმბოლდტისთვის ზოგადი განათლება ნებისმიერი პროფესიის კარგად დაუფლების აუცილებელი წინაპირობაა. ყოველი ადამიანი მხოლოდ მაშინაა კარგი ხელოსანი, ვაჭარი, ჯარისკაცი და კომერსანტი, როცა ის თავისი პროფესიის შესაბამისად განათლებული ადამიანი და მოქალაქეა.

ჰუმბოლდტისთვის ნამდვილი განათლების აუცილებელი პირობა ყოველგვარი შემზღუდავი გავლენისგან – და მათ შორის სახელმწიფოსგანაც – თავისუფლებაა. თუმცა, სახელმწიფო ფინანსურადაც და სხვა მხრივაც ხელს უნდა უწყობდეს განათლებას, მეცნიერებას, ზოგადად კულტურას, მაგრამ არანაირად არ უნდა ერეოდეს მათ თავისუფლებაში. ის დარწმუნებული იყო, რომ, რაც უფრო ძლიერია სახელმწიფოს ჩარევა, მით უფრო ერთფეროვანია ყველა მოქმედება და მათი შედეგიც. ასეთი სახელმწიფო, მისი თქმით, ადამიანების მანქანებად გადაქცევას ლამობს.

ჰუმბოლდტმა აღადგინა აგრეთვე უნივერსიტეტებში სწავლების და კვლევის განუყოფელი ერთიანობის იდეა, რომელიც იმ დროისთვის მივიწყებული იყო. მისი შემოღებულია სწავლების ცნობილი სამსაფეხურიანი სისტემა: დაწყებითი განათლება, სასკოლო განათლება და უნივერსიტეტი. პირველს მონაფისთვის უნდა განევითარებინა საგნების და აზრების აღწერის უნარი, მეორის ამოცანა იყო ზოგადი განათლების მიცემა და “სწავლის სწავლის” უნარის გამომუშავება, უნივერსიტეტი კი დამოუკიდებელი კვლევის, თვითაღზრდის და თვითსრულყოფის ადგილი უნდა ყოფილიყო. განათლების ჰუმბოლდტისეული იდეალი ორი საუკუნის მანძილზე მთავარი ორიენტირი იყო ფაქტობრივად მთელი მსოფლიოსთვის. ის დღესაც აქტუალურია და გამონწვევად რჩება დღევანდელი განათლების სისტემისთვისაც.

სალომე ბელქანია

პრესის თავისუფლება ჩინეთში და მისი გავლენა საზოგადოებაზე

პრესის თავისუფლება და გამოხატვის თავისუფლება უფლებებზე მეტად, პრივილეგიებია ჩინეთში. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის კონსტიტუციის 35-ე მუხლი გარანტიას აძლევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს „სიტყვისა და გამოქვეყნების თავისუფლების შესახებ“, თავად კონსტიტუცია უკვე შეიცავს უამრავ შეზღუდვას მასში გათვალისწინებული უფლებების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის პროპაგანდისტულ მედიაში ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში გარკვეულწილად შეინიშნებოდა გაუმჯობესება, თუმცა მმართველ პარტიას მაინც ძალიან მკაცრი კონტროლის ქვეშ ყავს მოქცეული მედია. ჩინეთის მოქალაქეები ვერ სარგებლობენ პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებით. აზრის გამოხატვის თავისუფლებას დახშულია სახელმწიფო მედიის მთავრობასთან კონფორმულობიდან და შესაბამისად სახელმწიფოსთან შეთანხმებული საინფორმაციო პოლიტიკიდან გამომდინარე. ჩინეთის მმართველი პარტიის სხვადასხვა ადმინისტრაციული დონის პროპაგანდის განყოფილებები ზედმინვენით ასრულებენ თავიანთ საზედამხედველო მოვალეობებს და განუწყვეტლივ საყვედურობენ მედიას. ცენზურა მოიცავს ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს ინფორმაციის და აზრის გამოხატვის ჩახშობას გამოქვეყნებამდე და მის შემდეგ. ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მრავალჯერ დაგმო ჩინეთში ჟურნალისტიკის და ინფორმაციის თავისუფლების ჩახშობის მზარდი ტენდენცია „ჩინეთის რეჟიმმა ომი გამოუცხადა დამოუკიდებელ ჟურნალისტიკას“, ნათქვამია ერთ-ერთ განცხადებაში. ჩინეთის მედიის კონტროლის სისტემა სხვადასხვა დონეზე მუშაობს, მათ შორის ოთხი ძირითადია: საკანონმდებლო კონტროლი, პოლიტიკური კონტროლი, ფსიქოლოგიური კონტროლი და ტექნოლოგიური კონტროლი. აღნიშნული მოხსენება განიხილავს მედიის კონტროლის ამ ოთხ ასპექტს და მედიაგარემოს გავლენას საზოგადოებაზე.

იზოლდა ბელთაძე

ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანია

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ჰოლანდიის ქალაქების ჯერ ანტვერპენის, ხოლო შემდეგ ამსტერდამის აღზევება, ოსტ-ინდოეთის კომპანიის წარმოშობა, მისი საქმიანობა, გვეჩვენებინა

ჰოლანდიის ინტერესები აღმოსავლეთში, როგორ წარიმართა ბრძოლა მის კონკურენტებთან პორტუგალიასთან, საფრანგეთთან და ინგლისთან, რა მეთოდებით დაამყარა მონოპოლია აქ, რა განსხვავება იყო ინგლისის და ჰოლანდიის ოსტ ინდოეთის კომპანიებს შორის. ორივე ოსტ ინდოეთის, კომპანია: ინგლისის და ჰოლანდიის გვევლინება როგორც გემთმშენებლები. მათი სავაჭრო კოლონიური ექსპანსია კიდევ უფრო უწყობდა ხელს საზღვაო ფლოტის განვითარებას ორივე ქვეყანაში. ჰოლანდიის ოსტ ინდოეთის კომპანიას აღმოსავლეთიდან შემოჰქონდა მუსკატი, წინაკა, მიხაკი, დარიჩინი, ცვილონის ჩაი, ყავა და სხვა. ინგლისის ოსტ ინდოეთის კომპანიას ჰოლანდიელებისაგან განსხვავებით შეჰქონდა აღმოსავლეთში მაუდის ქსოვილები და გამოჰქონდა: აბრეშუმი, ბამბა, პილპილი, მიხაკი, დარიჩინი, ინდიგო, ჯავზი, ოპიუმი, რომელთაც ევროპაში ზედმეტ ფასებში ყიდდნენ.

ჰოლანდიის ოსტ ინდოეთის კომპანიის ყოველწლიური მოგება იყო 50 მლნ გულდენი. ინგლისის მოგება კი მარტო 12 ექსპედიციისას შეადგენდა 460 ათას ფუნტ სტერლინგს. საბოლოო ჯამში ჰოლანდიის ოსტ - ინდოეთის კომპანიამ, რომელმაც შეწყვიტა არსებობა 1796 წელს (მის მონოპოლიას ბოლო მოუღო ინგლისმა), მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მისი გემები მიემგზავრებოდნენ მსოფლიოს ყველაზე შორეულ მხარეებში - ინდოეთში, მალაიზიაში, ინდოჩინეთში. მკაცრად მართავდა თავის კოლონიებს, ანხორციელებდა ფართო ვაჭრობას, ღიდ გავლენას ახდენდა გემთმშენებლობისა და სხვა ინდუსტრიის განვითარებაზე, რაც დადებითად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე.

ნანა გელაშვილი

ინოვაციები იაპონიის პოლიტიკურ ცხოვრებაში და კულტურაში - კამაკურას ეპოქა

იაპონიის ისტორიის მრავალმხრივ მნიშვნელოვან და საინტერესო პერიოდს წარმოადგენს ე. წ. კამაკურას ეპოქა (1192-1333), რომელიც უკავშირდება ქვეყანაში სამხედრო- ფეოდალური მმართველობის ახალი სისტემის - შიოგუნატის ფორმირებას. კერძოდ, როდესაც ფეოდალურ შიდა ომებში გამარჯვებულმა გავლენიანი საგვარეულოს - მინამოტოს ლიდერმა იორიტომომ 1192 წელს იმპერატორისგან შიოგუნის (იაპონურად ნიშნავს - მთავარსარდალს) წოდება მიიღო, იმავდროულად თავისი ახალი ხელისუფლების დედაქალაქად კამაკურა გამოაცხადა. ამ ნაბიჯის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კიოტოში არსებული საიმპერატორო კარის პოლიტიკური უფლებამოსილების შეკვეცას და დამოუკიდებელი, ძლიერი სახელისუფლო ბერკეტების შექმნას. ამრიგად, ამიერიდან იაპონიაში ორხელისუფლებიანობის ხანგრძლივი

ხანა დაინყო - სამპერატორო და შოგუნატის ხელისუფლება. ხაზგასასმელია, რომ მმართველობის ამგვარმა დუალისტურმა სისტემამ განმსაზღვრელი გავლენა იქონია შემდგომ ხანის იაპონიის ისტორიულ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

ახალ რეალობაში კამაკურა, რომელიც ადრე მეთევზეთა პატარა სოფელი იყო, მოკლევანში პოლიტიკურთან ერთად, ქვეყნის მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურისცენტრად იქცა, სადაც თავი მოიყარა პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა ელიტამ. კამაკურაში ფართომასშტაბიანი სააღმშენებლო სამუშაოები გაიშალა, აიგო ბუდისტური და შინტოისტური ტაძრები, ბუდისტურ ღვთაებათ მონუმენტური ქანდაკებები, საცხოვრებელი სახლები, სასახლეები, გაყვანილ იქნა გზები და სხვ. გამომდინარე იქიდან, რომ კამაკურა თავისი პოლიტიკური დატვირთვით სამხედრო მმართველობას უკავშირდებოდა, მისი უმეტესი ნაწილი სპორტულ მოედნებს და სტადიონებს ეკავათ, სადაც სამურაები სისტემატურ რეჟიმში ვარჯიშობდნენ.

კამაკურას პერიოდში სიახლეები კულტურის თითქმის ყველა სფეროს შეეხო: გაჩნდა ახალი ჟანრები ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებაში, როგორც სატაძრო, ისე საერო არქიტექტურაში გამოიკვეთა წარსულისკენ - წარას პერიოდისკენ მიბრუნების ტენდენცია. ხაზგასამელია, რომ თავდაპირველად კამაკურას ახლად ფორმირებული კულტურა კიოტოს ტრადიციულ კულტურას უპირისპირდებოდა. თუმცა, მომდევნო ხანებში მათი დაახლოების პროცესი დაინყო და ურთიერთგავლენის ნიშნები სულ უფრო ხელშესახები გახდა, რამაც საბოლოო ჯამში, სათანადო სინთეზის და კულტურათა დიალოგის საფუძველზე, შესანიშნავი შედეგი გამოიღო.

თეონა გელაშვილი

ჩინეთის საპარლამენტო სისტემის თავისებურებები

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოა ეროვნული სახალხო კონგრესი (NPC). ჩინეთის კონსტიტუციის თანახმად, ეროვნული სახალხო კონგრესისტრუქტურირებულია, როგორც ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანო, რომელსაც აქვს უფლებამოსილება გამოსცეს კანონები; ზედამხედველობა გაუწიოს მთავრობის, უზენაესი სასამართლოს, სპეციალური კომიტეტების, უმაღლესი პროკურატურის, ცენტრალური სამხედრო კომისიის მუშაობას და აირჩიოს სახელმწიფოს მეთაურები. ეროვნულ სახალხო კონგრესი (NPC) მსოფლიოში ყველაზე დიდი საკანონმდებლო ორგანოა. (2018 წელს მისი წევრების რაოდენობამ 2980-ს შეადგინა). კონგრესის დელეგატები ირჩევიან 5 წლიანი ვადით მრავალსაფეხურიანი წარმომადგენლობითი საარჩევნო სისტემით. მანდატების განაწილებას

პროვინციებისათვის არეგულირებს საარჩევნო კანონის ორი კონკურენტული პრინციპი. პირველი ესაა პროპორციულობის პრინციპი, რომელიც მოითხოვს, რომ თითოეული დელეგატი წარმოადგენდეს ერთსა და იმავე რეგიონის მოსახლეობას, ხოლო ფართო წარმომადგენლობის პრინციპი ავალდებულებს დელეგატს რომ იყოს იმავე რეგიონის ეთნიკური ჯგუფიდან და წარმოადგენდეს იმ რეგიონის მოსახლეობას.

2010 წელს შემოღებული ახალი განაწილების ფორმულით სამ ჯგუფად დაიყო პროვინციაში მანდატის მოპოვების კრიტერიუმი. კერძოდ პირველი, მანდატები გამოყოფილია მხოლოდ რეგიონის მოსახლეობის მიხედვით; მეორე, პროვინციებში არ არის დაზუსტებული დელეგატების თანაბარი რაოდენობა და რაოდენობა განისაზღვრება პროვინციაში არსებული მოსახლეობის მიხედვით და მესამე, „სხვა“ მიზნების გამო გამოყოფილი ადგილები. ბოლო ჯგუფში შედის არა მხოლოდ ადგილები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს ენიჭებათ, არამედ ასევეა ე.წ „ცენტრალური ლიდერობის ადგილები“, სადაც დაცულია ადგილები მომავალი ეროვნული ლიდერებისთვის და სხვა მაღალი თანამდებობის პირებისთვის.

ამიტომაც, ნაშრომზე მუშაობის პროცესში დეტალურად ვისაუბრებ ჩინეთის საპარლამენტო სისტემის თავისებურებებსა და დელეგატების არჩევის წესზე. თუ როგორ არის საპარლამენტო სისტემა და კომუნისტური პარტია ერთმანეთთან დაკავშირებული და რა განსახვავებს მას სხვა საპარლამენტო სისტემებისგან. კერძოდ, შევეცდები პასუხი გავცე შემდეგ კითხვებს: რატომ არის დიფერენცირებული დელეგატების არჩევის წესი? რატომ არსებობს კვოტები და რა განაპირობებს მათ არსებობას? როგორია ეროვნული სახალხო კონგრესის სტრუქტურა და თითოეული კომიტეტი რა საკითხზეა პასუხისმგებელი?

ნაშრომში გაანალიზებული იქნება ჩინურ-ინგლისური მეორეული წყაროები და რამდენიმე წიგნი.

ანა გოგუაძე

ტრავმის რეპრეზენტაცია იუ ხუას რომანში ცხოვრება

მოხსენებაში განხილულია ტრავმის რეპრეზენტაცია იუ ხუას თანამედროვე ჩინურ რომანში “ცხოვრება”. კვლევის მიზანი არის შეისწავლოს პოსტმაოური ჩინეთისა წარსული ტრავმების რეპრეზენტაციის თავისებურებები რომანში. კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ კოლექტიური ტრავმის თეორია. კვლევის თეორიული ჩარჩო: კოლექტიური მეხსიერების თეორია. პირველად და მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით, ვპასუხობთ წინამდებარე მოხსენების კვლევის მიზანსა და საკვლევ შეკითხვებს: როგორ არის წარმოდგენილი წარსული ტრავმული

გამოცდილება კვლევისთვის შერჩეულ ჩინურ რომანში და რა ხერხებს მიმართავს ავტორი ტრავმის შესაფუთად.

წინამდებარე ნაშრომის ძირითად ნაწილში განვითარებული მსჯელობის შეჯამებისთვის და განზოგადებისთვის, გთავაზობთ კვლევის მიზნის მისაღწევად დასმულ საკვლევ შეკითხვებზე პასუხებს: კვლევა აჩვენებს, რომ რომანში ცხოვრება, ჩინელი ავტორი მრავალფეროვანი ლიტერატურული ხერხების გამოყენებით ახერხებს ცენზურისთვის გვერდის ავლას. იუ ხუა აღწერს რიგითი ჩინელი ადამიანის ცხოვრებას და შეფარვით გვაჩვენებს ტრავმული გამოცდილებების შედეგებს ადამიანზე. კვლევის პროცესში აღმოვაჩინეთ, რომ რომანში ცხოვრება ტრავმა ასახულია, კერძოდ კი, წარმოდგენილია განმეორებითობით. საკითხის გონივრული გააზრება დაემყარება წინამდებარე ნაშრომში მოყვანილ ანალიზსა და შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: ტრავმა, მეხსიერება, იუ ხუა, ცხოვრება.

სოფიო გუგუნავა

ქრისტიანობის გზა კორეის ნახევარკუნძულზე

კორეის რესპუბლიკა საკმაოდ უნიკალურია რელიგიის თვალსაზრისით, რადგან, ეთნიკური ჰომოგენურობის მაღალი დონის მიუხედავად, არ არსებობს ერთი დომინანტი რელიგია. მიუხედავად იმისა, რომ კორეელთა უმეტესობა არ აღიარებს არცერთ რელიგიურ მიმდევრობას, ბევრი მათგანი მაინც ეწევა რელიგიურ მსახურებას. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანობის გამოჩენას კორეის ნახევარკუნძულზე თავდაპირველად უარყოფითად შეხვდნენ, თუმცა მან საკმაოდ პოპულარობა მოიპოვა, რაც დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

ნანა გულიაშვილი

მშვენიერება და ხელოვნება იაპონურ ესთეტიკაში

თუ კი მშვენიერების ევროპულ განცდაში ჭარბობს თვალი, მზერა, გამოხედვა, სინათლე, ობიექტის სინათლეში გამოჩენა, ფერები, ხილვადობა და გამოვლინება, ამის საპირისპიროდ იაპონური ესთეტიკური განცდა ორიენტირებულია ბნელზე, ფერების გამორიცხვაზე, წარმავლობის განცდაზე, გაცნობიერებასა და ამით გამოწვეულ წუხილზე. შუა საუკუნეების

ევროპული სქოლასტიკის ფილოსოფიურ ესთეტიკაში მშვენიერება მზის სადარი, კაშკაშა, ნათლით მოთენილი და ღვთაებრივია, რადგან ღმერთი ყოველივე მშვენიერის საწყისია. მშვენიერების ეს იდეა, აბსოლუტზე იყო ორიენტირებული. შემდეგ ის ნელ-ნელა ცვლილებას განიცდიდა.

მაშინ როცა იაპონურ კულტურაში წარმოიშვა ახალი იდეალები, რომლებიც გამოიხატებოდა სიტყვებით „საბი“ და „იუგენი“. ეს მოხდა დაახლოებით 1180 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით. ამ პერიოდში აყვავებას განიცდიდა ასევე, „მუჩოს“-ს ბუდისტური ცნება, რომელიც ყოველივე მიწიერის წარმავლობასა და არამდგრადობას აღწერდა. ბუდისტი ბერების მიერ შემოტანილი ესთეტიკური იდეალი „საბი“ დაუპირისპირდა იმ დროს საიმპერატორო კარზე გაბატონებულ „მიიაბის“ ესთეტიკურ იდეალს, რომელიც მშვენიერების ჩინურ გაგებას წარმოადგენდა და რომლისთვისაც ბრწყინვალეობა, ფუფუნება და მორთულობა იყო დამახასიათებელი.

ბუდიზმი იაპონიაში ჩვ. წ.-მდე პერიოდში გაჩნდა, მაგრამ გადამწყვეტი გავლენა იაპონელებზე მხოლოდ ჩვ. წ. V-VI სს- დან შეძლო, როცა იაპონიის კუნძულებზე ბუდისტი ბერების ჩამოსვლა დაიწყო. გამოჩნდა ჩინურად დაწერილი ბუდისტური წმინდა წიგნები რამაც ცხადია იაპონელებზე გავლენა მოახდინა, შემდეგ კი ბუდიზმის ტრადიციულმა ფორმებმა რომლებმაც საუკუნეებს გაუძლო, იაპონიზაცია განიცადა. იაპონიაში ძენ ბუდიზმი შეერწყა იაპონურ, კულტურულ ტრადიციებს.

ბუდიზმი ძირითადად ცხოვრებისეული სინამდვილიდან გაქცევის იდეა იყო. იგი ქადაგებდა ვნებების დათრგუნვას, ააშკარავებდა ცხოვრებისეული პრობლემების ამაოებას და ხალხს მოუწოდებდა სულიერი სიმშვიდისაკენ. იაპონური ხელოვნება ეროვნული ფორმებით საუკუნეების სიღრმიდან მოდის. მან შეისისხლხორცა ის წარმოდგენები და წესჩვეულებები, რომლებიც ხალხის რწმენაში იყო გამჭვდარი. წარმოდგენებმა და ტრადიციებმა იაპონურ სინამდვილეში სრულყოფას მიაღწია. იაპონური ხელოვნების დარგებმა მეტნაკლებად განიცადეს ძენ-ბუდიზმის გავლენა. ეს კი უპირველესად იაპონურ თეატრს შეეხო. შემდეგ ფერწერას, პოეზიას და ა. შ.

ძიენფენგ ლი

ქართულ ლიტერატურაში ჩინეთის იმიჯის კორპუსის ანალიზი

ქართულ ლიტერატურაში ჩინეთთან დაკავშირებული ნაწარმოებები ცოტაა და მათ უმეტესობაში სულ რამდენიმე სიტყვაა ჩინეთის გამოსახატავად, მაშასადამე, ჩინეთის იმიჯი,

რომელიც აშენდა ამ ნაწარმოებებიდან არის არასრული, ბუნდოვანი და წარმოსახვითი. ქართული ლიტერატურის კორპუსზე დაყრდნობით, ეს ნაშრომი აანალიზებს ჩინეთთან დაკავშირებულ კონტექსტუალურ მახასიათებლებსა და დისკურსულ ფორმებს ლიტერატურულ ნაწარმოებებში დიაქრონიული კორპუსის მეშვეობით, მათ შორის თემატურ ტიპებს, დიაქრონიულ ცვლილებებს, სენტიმენტალურ ტენდენციებსა და პოტენციურ მნიშვნელობებს, რათა აღვადგინო ჩინეთის მკაფიო და სპეციფიკური იმიჯი ქართველი მწერლების თვალსაზრისით და ამავდროულად გავანალიზოთ, როგორი კულტურული დამოკიდებულება ჰქონდათ საკუთარი ქვეყნის, ანუ საქართველოს მიმართ ჩინეთის გამოხატვისას.

თათია მემარნიშვილი

იაპონური ენიდან ქართულად თარგმანის გამოწვევები

მხატვრულ ლიტერატურას იაპონური ენიდან ქართულად თარგმნის დიდი ისტორია არ აქვს. არ გავქვს სახელმძღვანელოები კერძოდ იაპონური ენიდან ქართულად თარგმნის შესახებ და საქმეს ისიც ართულებს, რომ იაპონური სხვა არც ერთ ენას არ ჰგავს და არც ქართულია მაინცდამაინც მარტივი ენა.

იოკო ჰასეგავას წიგნი „იაპონური ენიდან თარგმნის კურსი“ იაპონურიდან ინგლისურ ენაზე ან პირიქით, ინგლისურიდან იაპონურზე თარგმნას ეხება, თუმცა მისი დახმარებით და დამოუკიდებელი პრაქტიკით ზოგადი წარმოდგენის შექმნა უკვე შესაძლებელია. დღეს შვეცდები იმ პრობლემებზე და გამოწვევებზე ვისაუბრო, რაც ამ პრომატევად საქმეს ახლავს.

რამდენად ზუსტი უნდა იყოს თარგმანი? ან რამდენად თავისუფალი? იოკო ჰასეგავა ამაზე გვპასუხობს „იმდენად ზუსტი, რამდენადაც ამას ტექსტი ითხოვს და იმდენად თავისუფალი, რამდენადაც შესაძლებელია“. თარგმანი ტექსტის ამოგლეჯვა, ამოთხრა და მისი უცხო კულტურულ და ლინგვისტურ გარემოში გადარგვა/ჩარგვა. პროფესორი აოიამა თარგმნისას ოთხ გზას გვთავაზობს:

1. ვთარგმნოთ მნიშვნელობა სიტყვა-სიტყვით
2. ავხსნათ, ვიდრე ვთარგმნოთ
3. ჩავანაცვლოთ სხვა უფრო შესაფერი სიტყვით
4. გამოვტოვოთ ის, რაც ვერ ითარგმნება

იაპონური ტექსტების ინგლისურ და რუსულ თარგმანებში ყველაზე ხშირად მეორე და მეოთხე ვარიანტებს ვხვდებით.

პირველი წიგნი, რომელიც პირდაპირ იაპონურიდან ითარგმნა ქართულად, იუკიო მიშიმას „ოქროს ტაძარი“ იყო. პრეზენტაციაზე, მთარგმნელმა, დავით გოგინაშვილმა ასეთი რაღაც ახსენა: იმის გამო, რომ იაპონურ ენას არ აქვს მკაფიოდ გამოხატული მრავლობითი რიცხვი, ერთ-ერთ მონაკვეთში იმის დადგენა გართულდა, თუ რამდენი ხე მოჩანდა: ერთი თუ რამდენიმე. რუსულ და ინგლისურ ვარიანტებში მრავლობითი რიცხვი იყო გამოყენებული, თუმცა დავითს, რომელიც იაპონიაში ცხოვრობს, ტაძარიც ბევრჯერ ჰქონდა ნანახი და ახსოვდა, რომ მხოლოდ ერთი ხე იდგა. საბოლოოდ რედაქტორის დარწმუნება ფოტოს გადაღებით შეძლო.

თითქოს რა მნიშვნელობა აქვს ამას, მაგრამ მე სრულებით ვიზიარებ დავითის მხარეს. იაპონური ტექსტები იმდენად რთული და განსხვავებულია, იმდენად კომპლექსური და მდიდარი უცხო კულტურით, მისი თუნდაც მისხალის თარგმანში ამოკლება-შეცვლა-შემოკლება, მკითხველისთვის დიდ დანაკარგად მიმაჩნია.

ამიტომ უკვე მეორე და განსაკუთრებით, მესამე წიგნზე მუშაობისას, ვეცადე მხოლოდ პირველი და მეორე მეთოდით მეხელმძღვანელა და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მიმემართა მესამე და მეოთხე გზისთვის.

მარიაკა მშვილდაძე

იუდეველთა თემების ინდოსტანის ნახევარკუნძულზე განსახლების შესწავლის საკითხისათვის

ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე და არტეფაქტებზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია ინდოსტანის ნახევარკუნძულზე იუდეველთა პირველი განსახლების საკითხები. ისრაელისა და ინდოსტანის ნახევარკუნძულზე არსებულ სახელმწიფოს შორის პირველი კავშირი ბიბლიაში დაცული ცნობების მიხედვით, სოლომონ მეფის პერიოდში ხდება. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ბიბლიაში მოხსენიებულ ოფირის ქვეყნის შესახებ (შრი-ლანკა, არაბეთის ნახევარკუნძული, აფრიკის სანაპირო ინდოეთის ოკეანესთან...) რომელთანაც მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა ისრაელის მეფე სოლომონს, მეცნიერთა უმეტესობის მიერ ოფირის ქვეყანა სწორედ ინდოეთთან, ინდოსტანის ნახევარკუნძულთან, მალაბარის სანაპირო ზოლთან არის დაკავშირებული.

თუ გავითვალისწინებთ ცნობებს ინდოეთში არსებული ზღვაოსნობის კულტურის, ნავიგაციის განვითარების - ინდური ნიჩბიანი გემების არსებობის შესახებ, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს ამ ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობების არსებობის ფაქტი. ხოლო, რაც შეეხება იუდეველთა პირველი განსახლების თარიღს ინდოსტანის ნახევარკუნძულზე, ისტორიული პროცესების გათვალისწინებით, სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია ჯერ კიდევ ბიბლიური მეფე სოლომონის პერიოდში გაცნობოდნენ იუდეველები ამ მხარეს. იუდეური თემების დაარსების თარიღად კი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ ძვ.წ.586 წელს იუდას სამეფოს განადგურების შემდგომი პერიოდი მიგვაჩნია. ისევე როგორც ტიტუსის მიერ იუდეველთა მეორე ტაძრის დანგრევის (ახ.წ.70წ.) შემდგომი პერიოდი. არ არის გამორიცხული იუდეველთა ერთი ტალღა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე მართლაც ძვ.წ.722 წელს ასურეთის მიერ ჩრდილო ისრაელის განადგურების შემდგომ წასულიყო. მაგრამ ამ ხალხის მიერ ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ეთნოკულტურის შენარჩუნება ნაკლებად შესაძლებლად მიგვაჩნია. მათ ისტორია 10 დაკარგული ტომის სახელით იცნობს, რომლებიც რომელ ტერიტორიაზეც განსახლდნენ, ყველგან ადგილობრივ მოსახლეობაში აირივნენ და თვითმყოფადობა ვერ შეინარჩუნეს.

სალომე სუხიაშვილი

ძველი ბერძნული მითი ოსამუს დაძაის მოთხრობაში „გაიქეცი, მელოს!“

ნაშრომი შეეხება მე-20 საუკუნის იაპონელი მწერლის, დაძაი ოსამუს 1940 წელს დაწერილ პატარა მოთხრობას „გაიქეცი, მელოს!“. იგი არის ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის ძველი ბერძნული მითის „დამონისა და პითეას“ გადამუშავებული ვერსია. საინტერესოა, რომ მწერალი ამ მითს გაეცნო ფ. შილერის ვერსიით, ნაწარმოებში „მძევალი“, რომელიც დაიწერა 1798 წელს. საინტერესოა ის ფაქტიც რომ მწერალმა ნაწარმოებში პერსონაჟებს რამდენიმე ბიბლიური ელემენტი შეჰმატა, რაც უცხოა იმ დროისათვის. ბიბლიური ელემენტების დამატებამ კი დაძაი ოსამუს ნაწარმოები უფრო დრამატული გახადა.

ბერძნული მითის გამოყენება თანამედროვე იაპონურ ლიტერატურაში უჩვეულო მოვლენა სულაც არ იყო, რადგან კლასიკური სამყაროს შესწავლა იაპონიაში დაიწყო მეოთხე-მეხუთე საუკუნის შუა წლებში, როცა ქრისტიანი მისიონერები პირველად ჩავიდნენ და დაიწყეს ლათინური ენის სწავლება მისიონერულ სკოლებში. თუმცა იაპონიაში დასავლურ კულტურასთან ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელდებულა, რადგან 1639-1854 წლებში დაიწყო იაპონიის იზოლაცია გარე სამყაროდან და კლასიკური სწავლებაც შეწყდა. 1893 წელს კი იაპონიის მთავრობამ მიიწვია გერმანელი ფილოსოფოსი, რათა ელ კოებერი, რათა

ტოკიოს საიმპერატორო უნივერსიტეტში ესწავლებინა ბერძნული და ლათინური. დაიწყო პროფესიული თარგმანების შექმნა, რამაც გაზარდა იაპონელი მწერლების ინტერესი ბერძნული მითოლოგიის მიმართ. თანამედროვე იაპონურ ნოველებში, კომიქსებსა და ფილმებში ადვილად საცნობია ანტიკური სამყაროს კვალი. თანამედროვე იაპონელმა მწერლებმა დაიწყეს ძველი ბერძნული მითების ლიტერატურული რეპროდუქცია.

მარინე ღუღუშაური

სამხრეთ კორეის სოციალურ - ეკონომიკური ტრანსფორმაცია

თანამედროვე სამხრეთ კორეა ყველაზე განვითარებული ქვეყნების რიცხვში შედის, თუმცა გასული საუკუნის 50-იან წლებში სამხრეთ კორეის ეკონომიკას ფაქტობრივად აგრარული სექტორი წარმოადგენდა, რომელიც უპირატესად საგარეო დახმარებაზე იყო დამოკიდებული. მოსახლეობის დაახლოებით 60% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა. 1960-იანი წლებიდან ქვეყანაში მოვიდა სამხედრო ხელმძღვანელობა, რომელიც ქვეყანას მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მართავდა. ეს ხელისუფლება იყო ავტოკრატიული, ზოგჯერ რეპრესიულიც, თუმცა პრაგმატული, რომელმაც თანმიმდევრულად გაატარა ეკონომიკური რეფორმები. ამ რეფორმებს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც მდინარე ჰანის ეკონომიკური სასწაულს.

სამხრეთ კორეაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგი იყო საზოგადოების საშუალო ფენის გაჩენა. ჯერ კიდევ 1950-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა მიწის რეფორმა, შემდეგ თანდათან ინერგებოდა თანამედროვე განათლების სისტემა, ეკონომიკური პროგრესი, რამაც შეასუსტა იანგბანის (საზოგადოების ტრადიციულად პრივილეგირებულთა ფენის) პოზიციები და გაჩნდა ახალი ელიტა დაბალი ფენის რიგებიდან. რაც შეეხება ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს, ქვეყანა მისდევს შერეული ეკონომიკის კურსს. კერძოდ, ტრადიციული საბაზრო ეკონომიკა შერწყმულია გვერდურ ეკონომიკასთან, სადაც თავისუფალი ვაჭრობა და მენარმეობა თანაარსებობს სახელმწიფო ინტერვენციასთან ერთად. სამხრეთ კორეის ეკონომიკური განვითარების თავისებურებაა მსხვილი კომპანიების, ე.წ. „ჩებოლების“ სისტემა, რომლის სათავეშიც ქვეყნის მსხვილი ოჯახები დგანან. „ჩებოლები“ ქმნიან ხარისხიან ინდუსტრიულ პროდუქციას და მეტი შესაძლებლობა აქვთ დანერგონ ინოვაციები. ისინი მთავრობასთან კოორდინირებულად მოქმედებენ და ამ კოლაბორაციის შედეგად კორეული „ჩებოლები“ მსოფლიო ბრენდებად იქცნენ (Samsung, LG electronics Hyundai). ქვეყანაში მძლავრი, დომინანტური მონოპოლისტური კომპანიების არსებობის მიუხედავად, მცირე ბიზნესს განვითარების შესაძლებლობები მაინც აქვს.

შალვა ჩიხლაძე

ჩინური პოლიტიკური და ინტელექტუალური ჯგუფები გვიანდელ ცინგის დინასტიასა და რესპუბლიკურ ჩინეთში

მეცხრამეტე საუკუნე გამორჩეული პერიოდია გლობალური ისტორიისთვის. იმ პერიოდში მომხდარმა ტექნოლოგიურმა და იდეოლოგიურმა ცვლილებებმა სერიოზული კვალი დააჩინა მსოფლიოს ხალხთა განვითარებას. ეს პერიოდი ასევე მნიშვნელოვანი და გარკვეულწილად კრიტიკული გამოდგა ჩინეთის იმპერიისთვისაც. მსოფლიო წესრიგს მიღმა არსებულმა უზარმაზარმა სახელმწიფოს პოლიტიკურმა ელიტამ ზუსტად ვერ გაიზრა გარესამყაროში მიმდინარე ცვლილებები, არ გახსნა რა საკუთარი ქვეყანა იმ დროინდელი წამყვან ქვეყნებთან საუაჭროდ, აღმოჩნდა მიმდინარე პროცესების მიღმა. ამასთან ერთად, დიდი ბრიტანეთის სურვილი ჩინურ ბაზარზე წვდომაზე იმდენად დიდი იყო რომ მათ ოპიუმის ვაჭრობის ხაზის დასაცავად ომიც კი დაიწყეს. დასავლეთთან არსებულმა ანტაგონისტურმა და ზოგ შემთხვევაში მშვიდობიანმა ინტერაქციამ ჩინურ საზოგადოებაშიც გააჩინა რამდენიმე დასი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტისა, რომლებიც განსხვავდებოდნენ ხედვებით, ღირებულებებით, სოციალური კლასითა და მოქმედების ტაქტიკით, თუმცა მათ აერთიანდათ ერთი რამ, ჩინური სახელმწიფოს მოდერნიზება და განვითარება ისე რომ საგარეო აქტორებს აღარ მისცემოდათ შესაძლებლობა არათანაბარ პირობებში ემყოფებინათ „ცენტრალური სამეფო“.

ჩინელი ინტელექტუალების რამდენიმე დასად დაყოფა პირობითია და მიზნად ისახავს იმ განმასხვავებელი ნიშნების უკეთ გამოკვეთას რაც გვიანდელი ცინგის პერიოდისა და ადრეული რესპუბლიკისას ჩინურ პოლიტიკურ კლასს გააჩნდა. ოთხ დასად დაყოფა ერთი მხრივ ქრონოლოგიურ აღქმას აადვილებს, მეორე მხრივ თითოეული დასის წევრებს ჰქონდა მენტაკლებად საერთო ხედვები, ღირებულებითი სისტემა და მოქმედების სტრატეგია.

- პირველი დასი - ლინ წესუ, წენგ კუოფენი, მე-19 საუკუნის 40-იანი და 60-იანი წლები.
- მეორე დასი - ქანგ იოვეი და ლიანგ ციჩაო. მე-19 საუკუნის 90-იანი და მეოცე საუკუნის 10-იანი წლები.
- მესამე დასი - სუნ იატსენი და რესპუბლიკელი რევოლუციონერები. მეოცე საუკუნის 10-20-იანი წლები.
- მეოთხე დასი - პირველი თაობის სოციალისტები (ჩენ ტუსიოუ, ლი ტაჭაო და ა.შ) მეოცე საუკუნის 20-იანი წლები.

ზემოთხსენებული ცალკეული ინდივიდები და მათი მიმდევრები ჩინური საზოგადოების ჭრელ პალიტრას აერთიანებდნენ. კვლევის მიზანია გამოჰყოს თითოეული დასის მახასიათებლები, ღირებულებითი სისტემის მიხედვით დააჯგუფოს ისინი საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლის მიხედვით, რაც გაუადვილებს ქართულენოვან აუდიტორიას უფრო სიღრმისეულად გაიაზროს ჩინური პოლიტიკური ისტებლიშმენტის იდეოლოგიურ-ღირებულებითი გრადაცია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცეს დასაწყისში.

ოთარ ჭილაძე

ჩახრუხადის მოგზაურობა ჩინეთში- მითი თუ რეალობა?

შუა საუკუნეების ქართველ მოგზაურებზე საუბრისას ხშირად ვხვდებით ჩახრუხადის სახელს. თამარ მეფის პერიოდში მოღვაწე ამ მწერალს, რომლის ზუსტი ვინაობა და ბიოგრაფიული ცნობები ბურუსითაა მოცული, თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში თავისი პერიოდის უდიდეს მოგზაურად მიიჩვენენ. ეს მოსაზრება ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა- პავლე ინგოროყვამ წამოაყენა და დღემდე არაერთი ისტორიკოსი თუ გეოგრაფი იზიარებს. თუმცა, რეალურად ინგოროყვას შემდეგ ფაქტობრივად არავის აღარ უცდია ჩახრუხადის მოგზაურობის თეორიის სიღრმისეული კვლევა, არამედ ამ საკითხის გარშემო არსებულ სამეცნიერო სტატიებში მსგავსი ფაბულის გადამღერება ანდაც კიდევ უფრო შელამაზება ხდებოდა ხოლმე. შესაბამისად ქართველი მკვლევრების ნაშრომებში არც ჩახრუხადის ჩინეთში ყოფნა-არყოფნის საკითხი ყოფილა დეტალურად განხილული.

ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ რამდენად შეესაბამება რეალობას ჩახრუხადის მოგზაურობების თეორია და მართლაც იყო თუ არა ის ნამყოფი ჩინეთში. ამისათვის, კვლევის პირველ ეტაპზე შევისწავლით ტოპონიმებს „თამარიანში“, რათა გავარკვიოთ ნაწარმოებში არის თუ არა ჩინეთი ნახსენები. შემდგომ, პირველად და მეორად წყაროებზე დაყრდნობით გავაანალიზებთ ჩახრუხადის მოგზაურობის თეორიასა და ამ თეორიის შემდგომ განვითარებას ქართულ სამეცნიერო წრეებში, საბოლოოდ კი განვიხილავთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით რამდენად შეესაბამება ეს თეორია რეალობას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „თამარიანის“ ტექსტში ნამდვილად ჩინეთზეა საუბარი, თუმცა ტექსტის ორთხროვანი ბუნების, წყაროებისა და არგუმენტების ნაკლებობისა და მე-12-13 საუკუნის გარემო ფაქტორების გათვალისწინების ფონზე, ჩახრუხადის ჩინეთში და ზოგადად ევრაზიის გარშემო მოგზაურობის თეორიას უსაფუძვლოდ მივიჩნევთ.

ლეილა ხუბაშვილი, ალექსანდრე უბირია

დემოკრატიული აფეთქების პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზები შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითზე

თანამედროვე სამყაროს უმთავრესი გამოწვევა მოსახლეობის ზრდასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან დემოკრატიული ციკლების ქაოტურობა მრავალი პრობლემის გამომწვევია, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სასურსათო უსაფრთხოებასთან. მოსახლეობის ზრდა იწვევს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას, უმუშევრობის დონე იზრდება, ხელფასები კლებულობს, იწყება ფასების ზრდა აბსოლუტურად ყველა რესურსზე, ეკოლოგიური მდგომარეობა უარესდება. ამ პროცესების უკონტროლობამ უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ შობადობის რეგულირების კუთხით ყველაზე დიდი გამოცდილება შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს აქვთ, ვინაიდან XX საუკუნის დემოკრატიული აფეთქების ფენომენმა მათზე ძალზედ დიდი გავლენა მოახდინა, რამაც შემდგომ გამოიწვია ალტერნატიული გზები, რომლის შედეგად მოხდა მდგომარეობის სტაბილიზაცია. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ჩინეთის დემოკრატიული პოლიტიკა („ერთი ბავშვის პოლიტიკა“) წარმოადგენს, რომელმაც წარმატებით შეაჩერა დემოკრატიული აფეთქება, ხოლო ამ უკანასკნელის მიზეზით გამოწვეულ იქნა 1959-1962 წლების შიმშილი, რომლის გამოც 36 მილიონი ადამიანი დაიღუპა. 2016 წლიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დემოკრატიული პოლიტიკა იცვლება - „ორი შვილის პოლიტიკა“-ზე გადასვლა, ხოლო 2021 წლიდან მთავრობამ ნება დართო ბავშვების რაოდენობის გაზრდას, შედეგად ბავშვების რაოდენობა ოჯახში 2-ის მაგივრად 3 გახდა. ამ ყოველივეს მიზეზი მოსახლეობის დაბერება გახდა, ასევე შობადობის მკვეთრი ვარდნა. საყურადღებოა დემოკრატიული პროცესები იაპონიაში, სადაც მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ ახალი სივრცის დაკავება და იმპერიალიზმის წარმოქმნა განაპირობა.

